ბიზნესის განწყობის ინდექსი

1.7

შემცირდა

უკეთესი მომავლის იმედით

II კვ 2021

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი	მცირე და საშუალო
19	93

კვლევის ძირითადი შედეგები



- 2021 წლის II კვარტლისთვის ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 1.7 პუნქტით შემცირდა და 1.7-ს გაუტოლდა, წინა კვარტალში საგრძნობი გაუმჯობესების შემდეგ. ბიზნესის განწყობის ყველაზე დიდი გაუარესება ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა, რომელსაც მოყვება სოფლის მეურნეობის და მშენებლობის სექტორები. BCI-ის უარყოფითი ცვლილება 2021 წლის II კვარტლისთვის პესიმისტურმა მოლოდინებმა განაპირობა.

- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, 2021 წლის I კვარტალთან შედარებით 25.0 პუნქტით გაიზარდა და 2021 წლის II კვარტლისთვის -4.1-ს მიაღწია. მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე დიდი გაუმჯობესება საფინანსო სექტორში დაფიქსირდა.

- ბიზნესის მოლოდინების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, 2021 წლის I კვარტლის გაუმჯობესების შემდეგ გაუარესდა და 9.0 პუნქტი შეადგინა. 2021 წლის II კვარტლისთვის მოლოდინების შემცირება დაფიქსირდა ვაჭრობის, მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში.

- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი შემცირდა 12.4-ით და 17.2 პუნქტს მიაღწია. ეს მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ ბიზნესების უფრო ნაკლები წილი ვარაუდობს ფასების გაზრდას საკუთარ პროდუქტზე. მხოლოდ სამშენებლო და მომსახურების სექტორებში ელოდება ბიზნესების უფრო მეტი წილი ფასების გაზრდას.

- 2021 წლის II კვარტლისთვის, მოთხოვნისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირე ბიზნეს საქმიანობისთვის კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღუდველ ფაქტორებად რჩება. ამასთან, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ვიდრე დიდი კომპანიებისთვის.

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] სკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA

ბიზნესის განწყობის ინდექსი

მცირე და საშუალო					
					
კვ **I/21**		ცვლილება	კვ **I/21**		ცვლილება
-9.7	▲	**0.6**	**2.5**	▼	**-3.8**

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, კვარტალური ზრდა

სექტორი	კვ **II/21**		ცვლილება
მრეწველობა	**1.1**	▲	**18.1**
მშენებლობა	**-2.8**	▼	**-16.3**
ვაჭრობა	**-51.5**	▼	**-52.6**
მომსახურება	**18.9**	▲	**12.1**
სოფლის მეურნეობა	**-13.7**	▼	**-26.9**
საფინანსო სექტორი	**17.7**	▲	**3.6**
სხვა	**32.5**	▲	**79.0**

მოთხოვნისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირე ბიზნესსაქმიანობისთვის კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღუდველ ფაქტორად რჩება. ამასთან, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, ვიდრე დიდი კომპანიებისთვის. 2021 წლის II კვარტლისთვის, "სხვა" ფაქტორები ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის (გასული ოთხი კვარტლის მდგომარეობით, საშუალოდ, დიდი კომპანიების 37% და მცირე და საშუალო კომპანიების 32% ასახელებს "სხვა" ფაქტორებს მთავარ შემზღუდველ ფაქტორად), რაც შესაძლოა COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების შედარებით შემსუბუქებაზე მიუთითებდეს.

ბიზნესსაქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები
II კვარტალი, 2021 წელი



ISET International School of Economics at TSU Policy Institute

bia Business Information Agency

ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE

CCI FRANÇAISE EN GEORGIE

GSMEA